ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

3.სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის რიგგარეშე სხდომის
ოქმი N5

2023 წლის 22 მარტი
დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე პაატა გოგოლაძე, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ- სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, ნანა გორგაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა, ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, ომარი გაგოშიძე, კოსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 32 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

პეტრე შარიქაძე მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მარიამ შარიქაძე დამხმარე მოსამსახურე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შათირიშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

თ. გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთი“ - ს ჟურნალისტი,

ნ. კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთი“ - ს ჟურნალისტი,

ს. გლუნჩაძე ოპერატორი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

3.სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 32 წევრი

მომხრე 30
წინააღმდეგი 0
თავი შეიკავა 2

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბ. კვირიკაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 32 წევრი

მომხრე 32

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ (თან ერთვის) .

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტთა ჩამონათვალში დაშვებულია ხარვეზი კერძოდ წარმოდგენილი პროექტის 1.2.3 და 5 პუნქტში და ითხოვა აღნიშნული პუნქტების გამოკლებით მომხდარიყო საკითხის განხილვა.

მ. ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრთა თანხმობით მომხსენებლის მოთხოვნა დააკმაყოფილა და დაავალა სხდომის დამთავრებამდე წარმოედგინა კორექტირებული დოკუმენტი.

კ. გოგსაძემ, რომელიც შეეხო სოფელ ვარძიაში არსებული საავტომობილო გზების სავალალო მდგომარეობას, მოითხოვა საუბნო და ცენტრალური გზების რეაბილიტაციის დაჩქარება, თან განმარტა, რომ ვარძიაში არსებული გზების მდგომარეობის გამო ის თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან

თ. ავალიშვილმა, აღნიშნა, რომ უნდა შეიცვალოს პრაქტიკა სოფლებში პატარ - პატარა პროექტების ნაწილ -ნაწილ კეთების და უმჯობესი იქნება სრულად დაფინანსდეს და დასრულდეს ერთ სოფელში გათვალისწინებული პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 32 წევრი

მომხრე 30

წინააღმდეგი 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ო. გაგოშიძემ, კიცხისათვის გამოყოფილი 350 000 ლარი მთელ სოფელს მოიცავს?

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ მაქსიმალურად შევეცდებით კიცხში მოგვარდეს წყლის პრობლემა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 32 წევრი

მომხრე 1

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**